

შპს აკა (ს/კ-402039744)

ბალანსი 2020წელი

დასახელება	31.12.2020.	31.12.2019.	31.12.2018.
აქტივები	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტი	52	13312	3542732
სავაჭრო მოთხოვნები	7627871	2257000	2479000
გადახდილი ავანსები	27166	3791243	92963
სასაქონლო მატერიალური მარაგები	820716	860166	28336
ძირითადი საშუალებები	1243671	1220933	843284
<u>სულ აქტივები</u>	<u>9719476</u>	<u>8142654</u>	<u>6986315</u>
ვალდებულებები	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	1152685	0	26416
საგადასახადო ვალდებულებები		105919	341427
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	490260		621
სხვა ვალდებულებები	273701	23426	0
<u>სულ ვალდებულებები</u>	<u>1916646</u>	<u>129345</u>	<u>368464</u>
საკუთარი კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	7802830	8013309	6617851
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	<u>7802830</u>	<u>8013309</u>	<u>6617851</u>
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>	<u>9719476</u>	<u>8142654</u>	<u>6986315</u>
სულ მოკლევადიანი აქტივები	8475805	6921721	6143031
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1916646	129345	368464

შპს აკა-ს დირექტორი: ლ.ჯინჭარაძე

შპს აკა (ს/კ-402039744)
მოგება-ზარალი 2020წელი

საქმიანობის შედეგი	2020წ	2019წ
ნეტო ამონაგები	1276988	1781379
საქონლის გაყიდვიდან	221903	
მომსახურების გაწევიდან	1055085	
სხვა		
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		1781379
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-832845	-1628
საწყისი მარაგები	-860166	-28336
მარაგების შესყიდვა	-793395	-833458
გადამუშავების დანახარჯი		
საბოლოო მარაგები	820716	860166
საერთო მოგება	444143	1779751
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-61375	-242093
ცვეთა და ამორტიზაცია	-50710	-10217
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-19135	-26719
სულ საოპერაციო ხარჯები	-131220	-279029
საოპერაციო მოგება	312923	1500722
გაუფასურების ხარჯი / რევერსირება		-
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	2920	
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობით	315843	1500722
ოპერაციიდან	315843	1500722
მოგების გადასახადი	-78947	0
მოგება/ზარალი	236896	1500722
სხვა სრული შემოსავალი / ზარალი		-
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0
სხვა სრული შემოსავალი / ზარალი, სულ		0
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	236896	1500722
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	8013309	6617851
ახალი აქციების გამოშვება		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-447375	-105264
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	7802830	8013309

შპს აკა-ს დირექტორი: ლ.ჯინჭარაძე



შპს აკა (ს/კ-402039744)
ფულადი სახსრების მოძრაობა 2020წელი

	2020წ	2019წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-13260	-3529420
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		0
წმინდა ზრდა/კლება ფულისა და ფულის ექვივალენტებში	-13260	-3529420
სავალუტო კურსის ეფექტი		0
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში	13312	3542732
ფული და ფულის ექვივალენტი წლის ბოლოს	52	13312

შპს აკა-ს დირექტორი: ლ.ჯინჭარაძე



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აკა ს/კ-402039744 (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის ნოქტომბერს. კომპანიის 97,38%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ჯამათა ჩარკვანი, პირადი#12001061760 და 2,62%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ლავრენტი ჯინჭარაძე, პირადი#12001030459. დირექტორი ლავრენტი ჯინჭარაძე, პ#12001030459.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი, მე-5კვ, კორპ.13 ბ.43

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,2766	4,0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,8677	3,2095

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება კომპანიის კაპიტალისგან (კაპიტალი), რომელიც იზრდება ყოველწლიურად საანგარიშო პერიოდის მოგებით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

ავანსები

ავანსების წარმოდგენის პოლიტიკა ითვალისწინებს მისი ღირებულების განსაზღვრას შემცირებულს გაუფასურების რეზერვით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები

ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და

შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (“მსს ფასს”) ცვლილებები

ხელმძღვანელობის მოლოდინით, სიახლეები „მსს ფასს“-ში, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ სიახლის და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

1. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთი	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	
2019 წლის 31 დეკემბერი	791960	359087	13645	402	55839	
შეძენა	0	69050	4398	0	0	
ცვეთა წლის მანძილზე	0	43669	2721	68	4252	
ჩამოწერილი აქტივები		0	0	0		
გასული აქტივი						
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						
2020 წლის 31 დეკემბერი	791960	384468	15322	334	51587	

2. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	0	794
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	52	12518
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	0	0
სულ	52	13312

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

3. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალა	36491	8836
საქონელი	0	0
სხვა მარაგები	784225	851330
სულ	820716	860166

4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	7627871	2257000
გადახდილი ავანსები	27166	3791243
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7655037	6048243

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020წლის 31დეკემბრისა და 2019წლის 31დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	1152685	0
საგადასახადო ვალდებულება	0	105919
სასესხო ვალდებულებები	490260	0
სხვა ვალდებულებები	273701	23426
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1916646	129345

6. საკუთარი კაპიტალი/გაუნაწილებელი მოგება

საკუთარი კაპიტალი/გაუნაწილებელი მოგება 2020წლის 31დეკემბრისა და 2019წლის 31დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად

საკუთარი კაპიტალი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სულ საკუთარი კაპიტალი პერიოდის (წლის) დასაწყისში	8013309	6617851
გაუნაწილებელი მოგება	236896	1500722
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	-447375	-105264
სულ საკუთარი კაპიტალი პერიოდის (წლის) ბოლოს	7802830	8013309

7. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ამონაგები	1276988	1781379
სხვა ფინანსური შემოსავალი	2920	0
სულ	1279908	1781379

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-832845
პერსონალის ხარჯი	-61375
ცვეთა და ამორტიზაცია	-50710
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-19135
სულ	-964065

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას, სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

